წესები და პირობები

24/11/2026

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ წინამდებარე წესებსა და პირობებს (შემდგომში „**წესები**“), რომლებიც არეგულირებენ **რეფერალ პროგრამაში „მოიწვიე მეგობარი“** (შემდგომში „**კამპანია**“) მონაწილეობას, **კამპანიის** ფარგლებში **საჩუქრის** მიღების პირობებსა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

კამპანიაში მონაწილეობით, თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით წინამდებარე **წესებს**, ეთანხმებით მათ და იღებთ ვალდებულებას, დაიცვათ **წესებით** განსაზღვრული მოთხოვნები.

1. კამპანიის აღწერა

1.1 **კამპანია** ორგანიზებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ (ს/ნ: 204929961) (შემდგომში „**თიბისი კაპიტალი**“) მიერ და ხელმისაწვდომია სს „თიბისი ბანკის“ (ს/ნ: 204854595) მობილ ბანკის (შემდგომში „**მობილ ბანკი**“) საინვესტიციო მოდულის (წინამდებარე **კამპანიის** მიზნებისთვის შემდგომში „**ინვესტიციების პლატფორმა**“) მომხმარებლებისთვის, წინამდებარე **წესებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

1.2 **კამპანიის** ფარგლებში, **ინვესტიციების პლატფორმაზე** რეგისტრირებულ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, **რეფერალ კოდის** გაზიარებით მოიწვიოს სხვა პირი **ინვესტიციების პლატფორმაზე** რეგისტრაციისა და საინვესტიციო ანგარიშის გახსნის მიზნით. **საჩუქარს** მიიღებენ **მომწვევი** და **მოწვეული პირი**, თუ თითოეული მათგანი დააკმაყოფილებს წინამდებარე **წესებით** მისთვის განსაზღვრულ პირობებს.

1.3 **კამპანიის** ფარგლებში, საჩუქრის სახით, თითოეულ **მონაწილეს**, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე **წესებით** განსაზღვრულ მოთხოვნებს, დაერიცხება „Anthropic“-ის აქციები, რომელთა ჯამური საბაზრო ღირებულება საჩუქრის დარიცხვის მომენტში შეადგენს 4 აშშ დოლარის ეკვივალენტს (შემდგომში „**საჩუქარი**“). **საჩუქრის სახით დარიცხული აქციების განკარგვა შეზღუდული იქნება საჩუქრის შესაბამისი მონაწილის საინვესტიციო ანგარიშზე დარიცხვის მომენტიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში (შემდგომში „შეზღუდვის პერიოდი“). შეზღუდვის პერიოდში მონაწილეს ეკრძალება შესაბამისი კომპანიის აქციების ისეთი რაოდენობის განკარგვა, რომლის შედეგად მის საინვესტიციო ანგარიშზე დარჩენილი ამავე კომპანიის აქციების რაოდენობა ნაკლები იქნება საჩუქრის სახით დარიცხული აქციების რაოდენობაზე. შეზღუდვის პერიოდის დასრულების შემდეგ აღნიშნული შეზღუდვა ავტომატურად მოიხსნება, დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე.**

1.4 რეფერალ კოდი წარმოადგენს **მომწვევისთვის** მინიჭებულ უნიკალურ კოდს, რომლის გაზიარებითაც **მომწვევი** სხვა პირს იწვევს **ინვესტიციების პლატფორმაზე** და რომლის გამოყენებითაც **მოწვეულ პირს** შეუძლია **კამპანიის** ფარგლებში საინვესტიციო ანგარიშის გახსნა (შემდგომში „**რეფერალ კოდი**“).

1.5 **კამპანიაში** მონაწილეობა და **საჩუქრის** მიღება შესაძლებელია მხოლოდ წინამდებარე **წესებით** განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. **კამპანიაში** მონაწილეობა არ გულისხმობს **ინვესტიციების პლატფორმაზე** საინვესტიციო ანგარიშის ავტომატურად გახსნას. **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, თავად და დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება საინვესტიციო ანგარიშის გახსნის ან გახსნაზე უარის თქმის შესახებ, **გენერალური ხელშეკრულების**, მოქმედი კანონმდებლობისა ან/და **თიბისი კაპიტალის** მოქმედი მოთხოვნებისა და პროცედურების გათვალისწინებით.

2. კამპანიის ვადები

2.1 **კამპანია** მოქმედებს 24/11/2026-დან 30/11/2026-ის ჩათვლით (შემდგომში „**კამპანიის მოქმედების ვადა**“).

2.2 **კამპანიაში** მონაწილეობის მისაღებად **მოწვეულმა პირმა რეფერალ კოდის** გამოყენებით რეგისტრაცია და საინვესტიციო ანგარიშის წარმატებით გახსნა უნდა დაასრულოს **კამპანიის მოქმედების ვადის** განმავლობაში.

2.3 **კამპანიის** ფარგლებში **საჩუქრის** მიღების უფლება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **მომწვევი** და **მოწვეული პირები** დააკმაყოფილებენ წინამდებარე **წესებით** განსაზღვრულ შესაბამის პირობებს. **საჩუქრის** დარიცხვა განხორციელდება **კამპანიის მოქმედების ვადის** დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში, იმ პირობით, რომ **საჩუქრის** დარიცხვის მომენტისთვის შესაბამისი **მონაწილე** კვლავ

აკმაყოფილებს წინამდებარე **წესებით** განსაზღვრულ **საჩუქრის** მიღების პირობებს (შემდგომში „**საჩუქრის გადაცემის ვადა**“).

2.4 **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია, **კამპანიის მოქმედების ვადის** დასრულებამდე შეწყვიტოს **კამპანიაში** ახალი მონაწილეების ჩართვა იმ შემთხვევაში, თუ მიღწეული იქნება წინამდებარე **წესებით** განსაზღვრული მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა ან/და ამოიწურება **კამპანიისთვის** გამოყოფილი საჩუქრების რაოდენობა.

3. კამპანიაში მონაწილეობის პირობები

3.1 **კამპანიაში** მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ ფიზიკურ პირს, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე მუხლითა და **წესებით** განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას.

3.2 წინამდებარე **წესების** მიზნებისთვის:

3.2.1 **მომწვევი** (შემდგომში „**მომწვევი**“) - ფიზიკური პირი, რომელსაც **კამპანიის** ფარგლებში **რეფერალ კოდის** გაზიარებამდე **ინვესტიციების პლატფორმაზე** აქვს აქტიური საინვესტიციო ანგარიში და რომელსაც **ინვესტიციების პლატფორმის** მეშვეობით **რეფერალ კოდის** გაზიარების შესაძლებლობა აქვს;

3.2.2 **მოწვეული პირი** (შემდგომში „**მოწვეული პირი**“) - ფიზიკური პირი, რომელიც **კამპანიის მოქმედების ვადის** დაწყების მომენტისთვის არ არის რეგისტრირებული **ინვესტიციების პლატფორმაზე**, რომელსაც **კამპანიის** ფარგლებში **მომწვევმა** გაუზიარა **რეფერალ კოდი** და რომელმაც აღნიშნული **რეფერალ კოდის** გამოყენებით წარმატებით დაასრულა რეგისტრაცია და **ინვესტიციების პლატფორმაზე** წარმატებით გახსნა საინვესტიციო ანგარიში;

3.2.3 **მონაწილე** (შემდგომში „**მონაწილე**“) - **მომწვევი** ან/და **მოწვეული პირი**, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე **წესებით** განსაზღვრულ შესაბამის მოთხოვნებს.

3.3 **კამპანიაში** მონაწილეობის უფლება არ აქვთ სს „თიბისი ბანკსა“ (ს/ნ 204854595) და **თიბისი კაპიტალში** დასაქმებულ პირებს, მათ შორის მათ, ვინც დასაქმდება **კამპანიის** მიმდინარეობის პერიოდში, მიუხედავად მათი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის ფორმისა (მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ უვადო ან ვადიანი შრომითი ხელშეკრულება, გამოსაცდელი ვადა, სტაჟირება ან ნებისმიერი სხვა ტიპის შეთანხმება, რომელიც უთანაბრდება შრომით ურთიერთობას).

3.4 **მომწვევი კამპანიაში** მონაწილეობისათვის ვალდებულია:

3.4.1 **კამპანიის მოქმედების ვადის** განმავლობაში ჰქონდეს **ინვესტიციების პლატფორმაზე** გახსნილი აქტიური საინვესტიციო ანგარიში და შეინარჩუნოს იგი აქტიურად **საჩუქრის გადაცემის** მომენტის ჩათვლით;

3.4.2 **კამპანიის მოქმედების ვადის** დაწყებიდან **საჩუქრის** გადაცემის მომენტის ჩათვლით არ ჰქონდეს შეჩერებული, შეწყვეტილი ან შეზღუდული წვდომა **მობილ ბანკზე** ან/და **ინვესტიციების პლატფორმაზე**;

3.4.3 **კამპანიის** ფარგლებში გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უნიკალური **რეფერალ კოდი** და გაუზიაროს იგი სხვა პირს **ინვესტიციების პლატფორმაზე** მოწვევის მიზნით; და

3.4.4 დაიცვას წინამდებარე **წესებით** განსაზღვრული პირობები.

3.5 **მოწვეული პირი კამპანიაში** მონაწილეობისათვის ვალდებულია:

3.5.1 **კამპანიის მოქმედების ვადის** დაწყების მომენტისთვის არ იყოს რეგისტრირებული **ინვესტიციების პლატფორმაზე**;

3.5.2 **კამპანიის მოქმედების ვადის** განმავლობაში დაიწყოს რეგისტრაცია **მომწვევის** მიერ გაზიარებული **რეფერალ კოდის** გამოყენებით;

3.5.3 **კამპანიის მოქმედების ვადის** განმავლობაში **მომწვევის რეფერალ კოდით** წარმატებით დაასრულოს რეგისტრაცია და გახსნას საინვესტიციო ანგარიში **ინვესტიციების პლატფორმაზე**;

3.5.4 საინვესტიციო ანგარიშის გახსნიდან **საჩუქრის** გადაცემის მომენტის ჩათვლით არ ჰქონდეს შეჩერებული, შეწყვეტილი ან შეზღუდული წვდომა **მობილ ბანკზე** ან/და **ინვესტიციების პლატფორმაზე**; და

3.5.5 დაიცვას წინამდებარე **წესებით** განსაზღვრული პირობები.

3.6 **მოწვეული პირის** მიერ **რეფერალ კოდის** გამოყენება უნდა განხორციელდეს რეგისტრაციის პროცესში, **ინვესტიციების პლატფორმაზე** მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად. თუ **რეფერალ კოდი** რეგისტრაციის პროცესში არ იქნა გამოყენებული ან **თიბისი კაპიტალის** ხელთ არსებული მონაცემებითა და ჩანაწერებით ვერ დასტურდება მისი გამოყენების ფაქტი, შესაბამისი მოწვევა **კამპანიის** მიზნებისთვის არ ჩაითვლება წარმატებულად. **თიბისი კაპიტალი** არ არის ვალდებული, გაითვალისწინოს **რეფერალ კოდის** გამოყენების შესახებ **მონაწილის** განცხადება ან სხვა ინფორმაცია, თუ აღნიშნული არ დასტურდება **თიბისი კაპიტალის** ხელთ არსებული მონაცემებითა და ჩანაწერებით.

3.7 **რეფერალ კოდის** გაზიარება არ წარმოშობს **მოწვეული პირისთვის საინვესტიციო ანგარიშის** გახსნის უპირობო უფლებას. **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია, საკუთარი პოლიტიკისა და პროცედურების, **გენერალური ხელშეკრულებისა** ან/და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უარი თქვას საინვესტიციო ანგარიშის გახსნაზე.

3.8 **კამპანიაში** მონაწილეობა არ შეიძლება განხორციელდეს სხვა პირის სახელით, სხვისი მონაცემების გამოყენებით ან/და ისეთი მეთოდით, რომელიც მიზნად ისახავს მონაწილეთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდას ან/და **საჩუქრის** უსაფუძვლოდ მიღებას.

3.9 **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, თავად და დამოუკიდებლად, განსაზღვროს **კამპანიაში** მონაწილეობის დამატებითი პირობები ან/და პროცედურები.

3.10 თუ **შეზღუდვის პერიოდში მონაწილე** მოითხოვს საინვესტიციო ანგარიშის დახურვას, **მონაწილე** ვალდებულია, საინვესტიციო ანგარიშის დახურვამდე სრულად დაუბრუნოს **საჩუქარი თიბისი კაპიტალს**. ამასთან, თუ **მონაწილეს საჩუქართან** დაკავშირებით ჩაერიცხა რაიმე სახის სარგებელი, **მონაწილე** ვალდებულია, აღნიშნული სარგებელი დაუყოვნებლივ დაუბრუნოს **თიბისი კაპიტალს**. **საჩუქრისა** და მასთან დაკავშირებული სარგებლის დაბრუნება ხორციელდება **მონაწილისთვის** რაიმე სახის ანაზღაურების გადახდის გარეშე, მათ შორის, **საჩუქრის** ღირებულების ან მისი საბაზრო ფასის ცვლილებით გამოწვეული შესაძლო დანაკარგის, ზიანის ან/და ზარალის ანაზღაურების გარეშე. **მონაწილე** აცნობიერებს და ეთანხმება, რომ **საჩუქრისა** და მასთან დაკავშირებული სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაბრუნების შემდეგ მას არ ექნება **თიბისი კაპიტალისგან** რაიმე ანაზღაურების მოთხოვნის უფლება **საჩუქრის** დაბრუნებასთან დაკავშირებით. საინვესტიციო ანგარიში დაიხურება **საჩუქრისა** და მასთან დაკავშირებული სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად დაბრუნების შემდეგ.

4. საჩუქრის მიღებისა და დარიცხვის პირობები

4.1 **კამპანიის** ფარგლებში **საჩუქრის** მიღების უფლება აქვს **მომწვევ** ან/და **მოწვეულ პირს**, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე **წესებით** მისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.2 **მომწვევისთვის საჩუქრის** მიღების უფლების წარმოშობის აუცილებელი პირობაა მის მიერ გაზიარებული **რეფერალ კოდის** გამოყენებით მოწვეული პირის მიერ **კამპანიის** მოქმედების ვადის განმავლობაში რეგისტრაციის წარმატებით დასრულება და საინვესტიციო ანგარიშის გახსნა, აგრეთვე წინამდებარე **წესებით** განსაზღვრული სხვა ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება.

4.3 **მოწვეული პირი** საინვესტიციო ანგარიშის გახსნის მომენტიდან **საჩუქრის** დარიცხვის მომენტის ჩათვლით უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე **წესებით** მისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამავე პერიოდის განმავლობაში მისი საინვესტიციო ანგარიში უნდა იყოს აქტიური და მას არ უნდა ჰქონდეს შეჩერებული, შეწყვეტილი ან შეზღუდული წვდომა **მობილ ბანკზე** ან/და **ინვესტიციების პლატფორმაზე**.

4.4 **საჩუქრის** სახით დასარიცხი აქციების რაოდენობა განისაზღვრება **საჩუქრის** დარიცხვის მომენტში შესაბამისი აქციის საბაზრო ფასის გათვალისწინებით, ისე, რომ აქციების ჯამური საბაზრო ღირებულება შეესაბამებოდეს წინამდებარე **წესების** 1.3 პუნქტით განსაზღვრულ **საჩუქრის** ღირებულებას.

4.5 **საჩუქრის** დარიცხვის შემდეგ აქციების საბაზრო ფასის ცვლილებასთან დაკავშირებული შედეგები ეკისრება შესაბამის **მონაწილეს**. **შეზღუდვის პერიოდის** განმავლობაში **თიბისი კაპიტალი** არ იძლევა აქციების საბაზრო ღირებულების შენარჩუნების ან ზრდის გარანტიას და არ არის ვალდებული,

აუნაზღაუროს **მონაწილეს** აქციების საბაზრო ღირებულების შემცირებით გამოწვეული დანაკარგი, ზიანი ან/და ზარალი.

4.6 **შეზღუდვის პერიოდში მონაწილეს** ეკრძალება **საჩუქრის** სახით დარიცხული აქციების ისეთი რაოდენობის განკარგვა, რომლის შედეგად მის საინვესტიციო ანგარიშზე დარჩენილი იმავე კომპანიის აქციების რაოდენობა ნაკლები იქნება **საჩუქრის** სახით დარიცხული აქციების რაოდენობაზე.

4.7 **შეზღუდვის პერიოდის** დასრულების შემდეგ **საჩუქრის** განკარგვაზე დაწესებული შეზღუდვა ავტომატურად მოიხსნება, დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე და **მონაწილე** შეძლებს შესაბამისი **საჩუქრის** განკარგვას ამ შეზღუდვის გარეშე.

4.8 **მონაწილე** აცნობიერებს და ეთანხმება, რომ **შეზღუდვის პერიოდში** აქციების საბაზრო ფასი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს და ამ ცვლილებით გამოწვეული ფინანსური შედეგების რისკი ეკისრება სრულად **მონაწილეს**. **თიბისი კაპიტალი** არ არის პასუხისმგებელი **შეზღუდვის პერიოდში** აქციების საბაზრო ფასის ცვლილებით გამოწვეულ ფინანსურ დანაკარგზე, ზიანზე ან/და ზარალზე.

5. საჩუქრების რაოდენობა და შეზღუდვები

5.1 **კამპანიის** ფარგლებში **საჩუქრის** მიღება შეუძლია ჯამურად არაუმეტეს 2000 **მოწვეულ პირს**. საჩუქარი გადაეცემა იმ **მოწვეულ პირებს**, რომლებიც პირველები დააკმაყოფილებენ წინამდებარე **წესებით** განსაზღვრულ მოთხოვნებს. თითოეულ შესაბამის **მოწვეულ პირს საჩუქრის** სახით დაერიცხება წინამდებარე **წესების** 1.3 პუნქტით განსაზღვრული აქცია.

5.2 **მომწვევისთვის** გადასაცემი **საჩუქრების** საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 50 აშშ დოლარის ეკვივალენტს.

5.3 **მომწვევს საჩუქარი** ერიცხება მის მიერ გაზიარებული **რეფერალ კოდის** გამოყენებით საინვესტიციო ანგარიშის წარმატებით გახსნის შემთხვევაში, თითოეული **მოწვეული პირისთვის**, იმ პირობით, რომ **მომწვევი** და შესაბამისი **მოწვეული პირი** აკმაყოფილებენ წინამდებარე **წესებით** განსაზღვრულ მოთხოვნებს. **მომწვევისთვის** დარიცხული **საჩუქრების** საერთო რაოდენობა ან/და ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე **წესების** 5.2 პუნქტით განსაზღვრულ ლიმიტს. თუ **მოწვეული პირი** დაარღვევს წინამდებარე **წესებით** განსაზღვრულ რომელიმე მოთხოვნას, მათ შორის, არ დაიცავს შეზღუდვის პერიოდს, **მომწვევს** არ წარმოეშობა შესაბამისი **საჩუქრის** მიღების უფლება.

5.4 **კამპანიის** ფარგლებში **საჩუქრების** გაცემა ხორციელდება **თიბისი კაპიტალის** მიერ განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში, რაც შეიძლება მოიცავდეს **მოწვეული პირების** მაქსიმალურ რაოდენობას ან/და **საჩუქრებისთვის** გამოყოფილი რესურსის ოდენობას. **კამპანიაში** მონაწილეობა და **საჩუქრის** მიღება დამოკიდებულია შესაბამისი ლიმიტების ფარგლებში რესურსის ხელმისაწვდომობაზე და წინამდებარე **წესებით** განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილებაზე. **თიბისი კაპიტალი** არ იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს **კამპანიაში** მონაწილეობის ან/და **საჩუქრის** მიღების შესაძლებლობა **კამპანიის** მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში. შესაბამისად, **კამპანიის მოქმედების ვადის** განმავლობაში მისი ხელმისაწვდომობა თავისთავად არ გულისხმობს, რომ **კამპანიის** ფარგლებში ახალი **მონაწილეების** ჩართვა ან/და **საჩუქრების** გაცემა კვლავ შესაძლებელია. **თიბისი კაპიტალი** არ არის ვალდებული, თითოეულ მონაწილეს აცნობოს აღნიშნული ლიმიტების ამოწურვის ან **კამპანიაში** მონაწილეობის ან/და **საჩუქრის** მიღების შესაძლებლობის შეზღუდვის შესახებ.

5.5 **მოწვეულ პირს კამპანიის** ფარგლებში **საჩუქარი** ერიცხება მხოლოდ ერთხელ, მიუხედავად იმისა, რამდენჯერ მიიღებს იგი **რეფერალ კოდს**, რამდენჯერ შეასრულებს **კამპანიის** პირობებს ან/და რამდენჯერ გახსნის იგი საინვესტიციო ანგარიშს. ერთი და იმავე პირის მიერ **კამპანიის** პირობების განმეორებით დაკმაყოფილება არ წარმოშობს **საჩუქრის** განმეორებით მიღების უფლებას.

6. მონაწილის დისკვალიფიკაცია

6.1 **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს შეუწყვიტოს ან შეუზღუდოს **მონაწილეს კამპანიაში** მონაწილეობა (მოახდინოს მისი დისკვალიფიკაცია), მათ შორის,

კამპანიის პირობების დარღვევის ან დარღვევის შესაძლო არსებობის შემთხვევაში. **თიბისი კაპიტალს** არ ეკისრება დისკვალიფიკაციის საფუძვლების დამატებით დასაბუთების ან განმარტების წარდგენის ვალდებულება.

6.2 **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია, წინამდებარე **წესების** 6.1 პუნქტით გათვალისწინებული უფლება გამოიყენოს **კამპანიის** ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის, **საჩუქრის** დარიცხვამდე ან გადაცემამდე.

6.3 **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია, **კამპანიის** პირობების შესაძლო დარღვევის ან **საჩუქრის** მიღების უფლების არსებობასთან დაკავშირებით ეჭვის საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, შეაჩეროს **საჩუქრის** დარიცხვა ან გადაცემა შესაბამისი გარემოებების შემოწმების დასრულებამდე.

6.4 თუ შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ **მონაწილე** არ აკმაყოფილებს **საჩუქრის** მიღებისთვის დადგენილ პირობებს ან დაარღვია წინამდებარე **წესები**, **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია, უარი თქვას **საჩუქრის** დარიცხვაზე ან გადაცემაზე.

6.5 დისკვალიფიკაციის შემთხვევაში **მონაწილე** კარგავს **კამპანიაში** მონაწილეობისა და **საჩუქრის** მიღების უფლებას, მათ შორის, თუ **საჩუქარი** ჯერ არ არის დარიცხული ან გადაცემული. **მონაწილე** არ არის უფლებამოსილი, დისკვალიფიკაციის ან **საჩუქრის** დარიცხვაზე ან გადაცემაზე უარის გამო მოითხოვოს **თიბისი კაპიტალისგან** რაიმე სახის კომპენსაცია.

6.6 თუ **მომწვევი** დაარღვევს წინამდებარე **წესებს** ან/და მისი ქმედება მიმართული იქნება **კამპანიის** პირობების გვერდის ავლის ან/და **საჩუქრის** მიღების უფლების არამართლზომიერად მოპოვებისკენ, **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, თავად და დამოუკიდებლად განსაზღვროს როგორც აღნიშნული **მომწვევისთვის**, ისე მის მიერ **მოწვეული პირ(ებ)ისთვის საჩუქრის** დარიცხვისა და გადაცემის საკითხი, მათ შორის, უარი თქვას **საჩუქრის** დარიცხვაზე ან/და გადაცემაზე, გააუქმოს **საჩუქრის** მიღების უფლება ან მოითხოვოს უკვე დარიცხული ან გადაცემული **საჩუქრის** და მისგან მიღებული სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაბრუნება. **თიბისი კაპიტალს** არ ეკისრება აღნიშნული გადაწყვეტილების დამატებითი დასაბუთების ან განმარტების წარდგენის ვალდებულება.

7. პასუხისმგებლობა

7.1 **თიბისი კაპიტალი** არ არის პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისათვის, რომელიც მოიცავს პირდაპირ, არაპირდაპირ, სპეციალურ, შემთხვევით, მიზეზ-შედეგობრივ ზიანს, რაც გამოწვეულია **კამპანიის** ან **კამპანიის** ფარგლებში მიღებული **საჩუქრის** არამართლზომიერი გამოყენებით და წინამდებარე **წესების** დარღვევით.

7.2 მონაწილე **წესებზე** დათანხმებით აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **თიბისი კაპიტალს** არ ეკისრება პასუხისმგებლობა რაიმე პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანზე/ზარალზე, რომელიც გამოწვეულია ტექნიკური, საოპერაციო ან/და საკომუნიკაციო შეფერხებებით (მათ შორის, დამოუკიდებელი ბროკერის, DriveWealth LLC-ის სისტემების მიერ), აგრეთვე ზიანზე/ზარალზე, რომელიც გამოწვეულია **მონაწილის** პროგრამული უზრუნველყოფის ან **მობილ ბანკის** ვერსიის გამოყენებით, რომელიც არ არის განახლებული უახლესი ხელმისაწვდომი ვერსიით.

7.3 მონაწილე **წესებზე** დათანხმებით აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ფინანსური ინსტრუმენტებისა და მათი ფასების შესახებ ინფორმაცია მოწოდებულია დამოუკიდებელი ბროკერის, DriveWealth LLC-ის მიერ და **თიბისი კაპიტალი** არ იღებს პასუხისმგებლობას მოწოდებული ინფორმაციის სისრულეზე, სისწორესა და სიზუსტეზე.

7.4 თითოეული **მონაწილე** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **კამპანია** არ წარმოადგენს **თიბისი კაპიტალის** მხრიდან გაცემულ საინვესტიციო, იურიდიულ ან სხვა სახის ფინანსურ რჩევას/რეკომენდაციას ან მოწოდებას ინვესტირებისკენ. **თიბისი კაპიტალი** პასუხისმგებლობას არ იღებს არსებულ ან/და მომავალ ფინანსურ შედეგებზე. ნებისმიერ გადაწყვეტილებას ინვესტიციის განხორციელების შესახებ მონაწილე იღებს დამოუკიდებლად.

4.1 **თიბისი კაპიტალი** არ იძლევა **საჩუქრის** საბაზრო ღირებულების შენარჩუნების ან ზრდის გარანტიას და არ არის პასუხისმგებელი **საჩუქრის** საბაზრო ფასის ცვლილებით გამოწვეულ დანაკარგზე, ზიანზე ან/და

ზარალზე, როგორც **შეზღუდვის პერიოდის** განმავლობაში, ისე მისი დასრულების შემდეგ. **მონაწილე** ეთანხმება და ადასტურებს, რომ **საჩუქარზე**, რომელზეც ვრცელდება **შეზღუდვის პერიოდი**, მას არ ექნება **თიბისი კაპიტალის** მიმართ პრეტენზია **საჩუქრის** საბაზრო ფასის ცვლილებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, **საჩუქრის** საბაზრო ფასის ცვლილებასთან (ზრდა/კლება) დაკავშირებულ რისკს სრულად ატარებს **მონაწილე**, ხოლო **თიბისი კაპიტალი** არ არის ვალდებული აანაზღაუროს **საჩუქრის** საბაზრო ღირებულების შემცირებით გამოწვეული დანაკარგი, ზიანი ან/და ზარალი.

8. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება და კონფიდენციალურობა

8.1 **კამპანიაში** მონაწილეობით, მონაწილე გამოხატავს თანხმობას, რომ **თიბისი კაპიტალმა** და სს „თიბისი ბანკმა“ (ს/ნ 204854595) დაამუშაონ **საინვესტიციო პლატფორმაზე** რეგისტრაციის მიზნით მოპოვებული პერსონალური მონაცემები **კამპანიაში** მონაწილეობისა და ადმინისტრირების მიზნით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

8.2 მონაწილეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ან დააფიქსიროს მოთხოვნა მონაცემთა დამუშავების შეწყვეტასთან დაკავშირებით შემდეგი საკომუნიკაციო არხების მეშვეობით:

- ტელეფონის ნომერი: +995 322 27 27 97; ან
- ელ-ფოსტა: info@tbccapital.ge

9. სხვა პირობები

9.1 წინამდებარე **წესები** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობითა და **მონაწილესა** და **თიბისი კაპიტალს** შორის გაფორმებული „თიბისი კაპიტალის ინვესტიციების გენერალური ხელშეკრულებით“ (შემდგომში „**გენერალური ხელშეკრულება**“).

9.2 მონაწილე ვალდებულია **კამპანიაში** არ ჩაერთოს ან/და შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტები/**საჩუქარი** არ გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო, თაღლითური ან/და **თიბისი კაპიტალისათვის** ზიანის მომტანი მიზნებისთვის.

9.3 **თიბისი კაპიტალი** იტოვებს ცალმხრივ, დისკრეციულ და უპირობო უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ, დასაბუთებისა და საფუძვლის მითითების ვალდებულების გარეშე **თიბისი კაპიტალის** შიდა პროცედურების, პოლიტიკის ან/და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე - შეუჩეროს, შეუზღუდოს ან შეუწყვიტოს მონაწილეს **კამპანიაში** მონაწილეობა, თუ **თიბისი კაპიტალი** ჩათვლის, რომ მონაწილე არღვევს **კამპანიის წესებს**, საქართველოს კანონმდებლობას ან/და მისი ქმედება ზიანს აყენებს **თიბისი კაპიტალს**.

9.4 **მონაწილე** არ არის უფლებამოსილი, **თიბისი კაპიტალს** მოსთხოვოს ზიანის ან/და ზარალის ანაზღაურება **კამპანიაში** მონაწილეობასთან, **კამპანიის** პირობების შესრულებასთან ან/და **საჩუქრის** მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი გარემოების გამო, მათ შორის, ტექნიკური შეფერხების, წინამდებარე **წესებით** დადგენილი პირობების შეუსრულებლობის ან/და დარღვევის, **კამპანიიდან** დისკვალიფიკაციის ან/და **კამპანიის** ფარგლებში სხვა გარემოების დადგომის შემთხვევაში.

9.5 **თიბისი კაპიტალი** იტოვებს ცალმხრივ და უპირობო უფლებას, თავად და დამოუკიდებლად ნებისმიერ დროს შეცვალოს **წესები**, ხოლო მონაწილე ვალდებულია მუდმივად იცავდეს ზემოაღნიშნულს.